

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი (07-1/530, 27.12.2007) „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი.

2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 176-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, შეიქმნას საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 19 წევრისაგან, შემდეგი შემადგენლობით:

ლევან ბეჟაშვილი – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე)

გიორგი ბოკერია – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ნინო კალანდაძე – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ელენე თევდორაძე – საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე

პავლე კუბლაშვილი – საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარე

კონსტანტინე კუბლაშვილი – საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

ეკატერინე ტყეშელაშვილი – საქართველოს იუსტიციის მინისტრი

ზურაბ ადეიშვილი – საქართველოს გენერალური პროკურორი

ზურაბ ტყემალაძე – საქართველოს პარლამენტის წევრი

მამუკა კაციტაძე – საქართველოს პარლამენტის წევრი

გოჩა ქიმაძე – საქართველოს პარლამენტის წევრი

ბადრი ხატიძე – საქართველოს პარლამენტის წევრი

ნუგზარ შოშიაშვილი – საქართველოს პარლამენტის წევრი

ვანო ხუბუნაიშვილი – საქართველოს პარლამენტის წევრი

ლევან გზირიშვილი – საქართველოს პარლამენტის წევრი

კახა კუკავა – საქართველოს პარლამენტის წევრი

გიორგი ხუბუა – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

ავთანდილ დემეტრაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

დავით კერესელიძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის

თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი მ. მაჭავარიანი

თბილისი,

2007 წლის 28 დეკემბერი.

№5651-რს